განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

გამოყენებითი სტატისტიკა

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 12 მაისი, 2020 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 06 ივნისი, 2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი სტატისტიკა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სტატისტიკის მაგისტრი 0542
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მამუკა ნადარეიშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო აბესაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლაშა გიორგაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

გამოყენებითი სტატისტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანია თანამედროვე სტატისტიკური მეთოდებისა სიღრმისეული გაცნობა და ამ მეთოდების კომპიუტერული სტატისტიკური პროგრამების საშუალებით პრაქტიკაში გამოყენების შესწავლა. სტატისტიკური მეთოდების გამოყენება მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგებში სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს. ეს პროცესი განსაკუთრებით დააჩქარა პერსონალური კომპიუტერების ფართოდ გავრცელებამ. არ არსებობს პრაქტიკული საქმიანობის ისეთი სფერო, სადაც სტატისტიკური მეთოდების გამოყენება არ იყოს შესაძლებელი. მოთხოვნა ისეთ სპეციალისტებზე, რომელთაც სტატისტიკური მეთოდების გამოყენება შეუძლიათ სულ უფრო იზრდება. ამიტომ, აუცილებელია გამოყენებითი სტატისტიკის სპეციალისტების მომზადება. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლების სამაგისტრო პროგრამებში არსებობს დარგობრივი სტატისტიკების მოდულები, ქვეყნის არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში არ ფუნქციონირებს სამაგისტრო პროგრამა, რომელიც ზოგადი პროფილის გამოყენებითი სტატისტიკის პეციალისტებს ამზადებს. ამდენად, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოყენებითი სტატისტიკის სამაგისტრო პროგრამის არსებობა მისასალმებელია.

სააკრედიტაციო სამაგისტრო პროგრამას ჰყავდა წინამორბედი. კერძოდ, სამაგისტრო პროგრამა, რომლის სახელწოდებაც იყო გამოყენებითი სტატისტიკა, ფუნქციონირებდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013 წლიდან. თუმცა 2019 წლამდე იგი ანიჭებდა გამოყენებითი მათემატიკის მაგისტრის ხარისხს. 2019 წლიდან პროგრამამ შეიცვალა კვალიფიკაციის კოდი და ამჟამად აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა ანიჭებს სტატისტიკის მაგისტრის აკადემიურ ხარისხს. ახალი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაცია პირველად განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ 2019 წლის 18 აპრილს. პროგრამას მიენიჭა ერთწლიანი აკრედიტაცია და მიეცა მითითება გამოესწორებინა ის ხარვეზები, რომელიც დაფიქსირებული იყო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ. პროგრამის განხორციელება დაიწყო 2019 წლის ოქტომბრიდან (2019-2020 სასწავლო წელი) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტზე. 2020 წელს გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილი იყო რეაკრედიტაციაზე. წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით, მაგისტრის მომზადების ნორმატიული ვადაა 2 წელი ანუ 4 სემესტრი. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 ECTS კრედიტი (სემესტრში - 30 ECTS

კრედიტი), რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსებს ეთმობა 72 ECTS კრედიტი, რაშიც შედის ასევე 6 ECTS კრედიტიანი პროფესიული პრაქტიკა. სპეციალობის არჩევით კურსებს დათმობილი აქვთ 12 ECTS კრედიტი. სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS კრედიტი. სპეციალობის არჩევითი კურსის 12 ECTS კრედიტის დასაგროვებლად ასარჩევად შეთავაზებული აქვთ შვიდი 3 ECTS კრედიტიანი საგანი. სწავლების ენაა ქართული.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის მიზნით მასალების გაცნობა და პროგრამის განმახორციელებელ ჯგუფთან ინტერვიუები განხორციელდა დისტანციურად Zoom-ის საშუალებით 2020 წლის 12 მაისს. იქამდე, 9 და 11 მაისს ექსპერტთა ჯგუფს (მამუკა ნადარეიშვილი, ნინო აბესაძე, ლაშა გიორგაძე), ჰქონდათ ვიდეო შეკრებები, ასევე Zoom-ის საშუალებით, რომლის დროსაც განხილულ იქნა თვითშეფასების ანგარიში, სხვა წარმოდგენილი დოკუმენტები და დაიგეგმა მომავალი ვიზიტი. ცენტრის მიერ მოწოდებული საორგანიზაციო დოკუმენტებისა და საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული მასალების მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეს პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

12 მაისს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში 10:00 საათიდან ონლაინ რეჟიმში დაიწყო სამუშაო შეხვედრები პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა:

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან,
- თვითშეფასების ჯგუფთან,
- პროგრამის ხელმძღვანელებთან,
- აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პედაგოგებთან,
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან,
- პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან,
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან,
- დამსაქმებელთან.

ასევე, დისტანციური კომუნიკაციის ფარგლებში განხორციელდა ელექტრონული ბიბლიოთეკის დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობით. ექსპერტთა ჯგუფს

საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პირველი სტანდარტი („საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა“) შესაბამისობაშია სტანდარტებთან, ვინაიდან სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეორე სტანდარტი („სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა“) შესაბამისობაშია სტანდარტთან, რადგანაც სტანდარტის 2.1, 2.2, 2.4, 2.5 და 2.6 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო სტანდარტის 2.3 კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან.

პროგრამის მესამე სტანდარტი („სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა“) შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 3.1 და 3.2 კოპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

პროგრამის მეოთხე სტანდარტი („სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა“) შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგანაც კომპონენტები 4.1, 4.3 და 4.4 შესაბამისობაში არიან სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო კომპონენტი 4.2 შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან.

პროგრამის მეხუთე სტანდარტი („სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები“) შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგანაც 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები შესაბამისობაში არიან სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

განახლდეს მითითებული სასწავლო კურსების სილაბუსები უახლესი ლიტერატურის საფუძველზე.

უსდ-მ მუდმივად იზრუნოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და მათი პროფესიული ზრდისათვის. მეტი ყურადღება დაუთმოს პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი აქტივობების განხორციელებას. ეს ფაქტი უნდა აისახოს პროგრამის ბიუჯეტშიც.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სტატისტიკური პაკეტი SPSS ისწავლება მეორე სემესტრში. ჩვენი აზრით უმჯობესია აღნიშნული პაკეტის შესწავლა პირველ სემესტრში. ეს საშუალებას მისცემს ლექტორებს სხვადასხვა დარგის სტატისტიკური მეთოდების შესწავლისას პრაქტიკული ამოცანების გადაჭრა მოახდინონ არა Excel-ის, არამედ SPSS-ის გამოყენებით.

- დასაკორექტირებელია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ჩანაწერი.
- «ფინანსური მათემატიკის“ კურსის სილაბუსში გასწორდეს საათების რაოდენობა.
- სასურველია კორექტირებულ იქნეს სასწავლო კურსის ,,ეკონომიკური სტატისტიკა“ სილაბუსი.
- სტუდენტებისთვის პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების გამომუშავებისა და განვითარებისათვის მიზანშეწონილია გაფორმდეს ახალი მემორანდუმები პროფილურ ორგანიზაციებთან და კომპანიებთან.
- თვითშეფასების ანგარიშში გასწორდეს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით და აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით. ასევე, უნდა გასწორდეს პირველი აკრედიტაციის თარიღი.
- განახლდეს პერსონალის პერსონალური მონაცემები (CV).
- ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში არსებული ყველა ძირითადი ლიტარატურა, რაც სასწავლო კურსების სილაბუსშია მითითებული, აიტვირთოს უსდ-ის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში.
- განხორციელდეს გამოყენებითი სტატისტიკის პროგრამის ბიუჯეტის კორექტირება ფაკულტეტის ბიუჯეტის შესაბამისად.
- სასურველია, რომ გამოკითხვებში პოტენციური დამსაქმებლების უფრო ფართო წრე იქნას მოცული. ეს ერთის მხრივ ხელს შეუწყობს პროგრამის გაუმჯობესებას, მეორეს მხრივ გაზრდის პროგრამის ცნობადობას პოტენციურ დამსაქმებლებში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

წინა აკრედიტაციის შემდეგ, აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინების შედეგად პროგრამამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩასმულ იქნა შემდეგი სასწავლი კურსები:

1. სოციალური პროცესების სტატისტიკური კვლევის მეთოდები;
2. მონაცემთა ანალიზი SPSS-ის საშუალებით
3. დროითი მწკრივების ანალიზი და პროგნოზირება (მანამდე არსებობდა შემდეგი სახელწოდებით: „დროითი მწკრივები და პროგნოზირება“)
4. ეკონომიკური სტატისტიკა
5. პროფესიული პრაქტიკა *(ძველ პროგრამაში არსებობდა* ,,მინი პროექტის“, მის ნაცვლად ნაცვლად პროგრამაში ჩაისვა ,,პროფესიული პრაქტიკა“)

არჩევითი დისციპლინები:

1. ფისკალური და მონეტარული სტატისტიკა
2. დემოგრაფიული სტატისტიკა
3. ბიზნესის სტატისტიკა
4. გამოყენებითი ეკონომეტრიკა

წინაპირობაში დაფიქსირდა ინგლისურის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება გამოყენებითი სტატისტიკაში, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან სტატისტიკის თანამედროვე, მრავალფეროვანი მეთოდებით და ამ მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევებით. კურსდამთავრებულებს შეეძლებათ პრაქტიკული საქმიანობის სხვადასხვა დარგებში წარმოქმნილი პრობლემების სტატისტიკური მეთოდებით გადაჭრა, რეალური პროცესების ალბათურ-სტატისტიკური მოდელების აგება, კვლევების დაგეგმვა და განხორციელება, მიღებული შედეგების სტატისტიკური მეთოდებით გაანალიზება და მიღებული შედეგების ინტერპრეტირება. გამოყენებითი სტატისტიკის ის მეთოდები, რომლებიც პროგრამის მიხედვით ისწავლება, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პრაქტიკული საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. ამ ცოდნით აღჭურვილი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. ამდენად, კურსდამთავრებულები მიღებული ცოდნით შეძლებენ დასაქმდნენ როგორც მეცნიერებასა და ბიზნესში, ასევე, სწავლა გააგრძელონ განათლების შემდეგ საფეხურზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ქართველი და უცხოელი ექსპერტების დასკვნები; ○ სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები:

○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი იძენს როგორც თეორიული სტატისტიკის სხვადასხვა მეთოდების ცოდნას ასევე ამ ცოდნის გამოყენების უნარებს სხვადასხვა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის პროცესში. კურსდამთავრებულს ექნება: • თეორიული და გამოყენებითი სტატისტიკის მეთოდების ღრმა და სისტემური ცოდნა; • სტატისტიკური მონაცემებიდან რაოდენობრივი ინფორმაციის მოპოვების ღრმა და სისტემური ცოდნა; • რეალური პროცესების ალბათურ-სტატისტიკური მოდელების აგებისა და ანალიზისა და მათი კომპიუტერული რეალიზაციის უნარი;

- სტატისტიკური დასკვნების არასტატისტიკურ კონტექსტში გადატანის მეთოდების ცოდნა და მისი მორგება სხვადასხვა მეცნიერების ამოცანებთან;
- ექსპერიმენტისა და დაკვირვებების დაგეგმვისა და მიღებული მონაცემების ანალიზის მეთოდების ღრმა ცოდნა;
- ამოცანათა ამოსახსნელად შესაბამისი კომპიუტერული პროგრამული პაკეტების გამოყენების უნარი.
- მონაცემთა ბაზებთან მუშაობის უნარ-ჩვევები.
- მულტიდისციპლინარულ გარემოში პრობლემების გადაწყვეტის უნარი;
- ლოგიკური მსჯელობის აგებისა და განვითარების უნარი მოცემულობების, დაშვებების და დასკვნების მკაფიო იდენტიფიკაციით;
- სხვადასხვა დარგის პრაქტიკული პრობლემების გადაჭრის მეთოდების ჩამოყალიბებისა და ანალიზის უნარი;
- ამოცანის ამონახსნის თვისებათა ანალიზისა და გამოკვლევის უნარი;
- აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი;
- გააზრებული გადაწყვეტილების მიღებისა და მკაფიო დასაბუთების უნარი.
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და სათანადო დონეზე პრეზენტაციის მიზნით; მსჯელობისა და მისგან გამომდინარე დასკვნების ნათლად, ზუსტად და ადრესატისათვის მისაღები ფორმით მიწოდების უნარი, როგორც ზეპირად, ისე წერილობით ქართულ და უცხოურ ენებზე.
- ვერბალური და წერილობითი ინფორმაციის აღქმის უნარი;
- ახალი პრობლემების შესწავლისთვის მზაობა;
- დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
- გუნდში მუშაობის უნარი.

  მიღებული ცოდნა საშუალებას მიცემს კურსდამთავრებულს, სურვილის შემთხვევაში გააგრძელოს თეორიული კვლევები სწავლების მესამე საფეხურზე დოქტორანტურაში.

პროგრამის შედეგების შეფასების მიზნით ხორციელდება აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით.

გამოკითხვის შედეგად გროვდება შემდეგი სახის ინფორმაცია პროგრამის შედეგების შეფასებისათვის:

- საკმარისია თუ არა საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსებისათვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად;
- უზრუნველყოფს თუ არა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შრომის ბაზრის მოთხოვნილებებს

• რა უნდა გააკეთოს უნივერსიტეტმა შრომის ბაზარზე თავის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად გამოკითხვის შედეგების ანალიზი, რომელშიც ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე, გამოიყენება პროგრამის დახვეწისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ გამოკითხვის კითხვარები; ○ სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი. უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია დაინტერესებული მხარეებისათვის. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: • ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მათემატიკაში, ინფორმატიკაში, საბუნებისმეტყველო, საინჟინრო, სოციალურ მეცნიერებებში, ეკონომიკასა და ბიზნესის ადმინისტრირებაში; • შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში (საგამოცდო საგანი - ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა) • შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) – B2 დონე; • საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე - აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. • მობილობა - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ან სხვა უმაღლესი ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები, რომლებიც მობილობის წესით გადმოვლენ აღნიშნულ პროგრამაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის აღწერილობაში მიღების წინაპირობებში მითითებულია საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგები - B ტესტი; აღნიშნული ჩანაწერი დასაკორექტირებელია, რადგან მიმდინარე წლიდან ყველა აპლიკანტი გაივლის მხოლოდ ერთი ტიპის გამოცდას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

დასაკორექტირებელია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ჩანაწერი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ. პროგრამის შედგენისას გათვალისწინებულია და

გამოსწორებულია ყველა ის ხარვეზები, რომელიც პირველი აკრედიტაციის პროცესში იყო მითითებული ექსპერტების მიერ. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის ხანგრძლივობა - 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი), მოცულობა - 120 კრედიტი, სემესტრში - 30 კრედიტი; პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი კურსებისაგან: სავალდებულო სასწავლო კურსები - 72 კრედიტი; არჩევითი კურსები - 12 კრედიტი. (სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს სემესტრებში მითითებული კრედიტების შესაბამისად). პროგრამა ითვალისწინებს პროფესიულ პრაქტიკას (6 კრედიტი) და სამაგისტრო ნაშრომის (30 კრედიტი) შესრულებას.

თეორიული და გამოყენებითი სტატისტიკის სხვადასხვა მიმართულების საგნებთან ერთად სტუდენტები შეისწავლიან სტატისტიკის პრაქტიკაში გამოყენებისათვის საჭირო ისეთ საგნებსაც, როგორიცაა მონაცემთა ბაზების მართვა და სტატისტკის კომპიუტერული პაკეტები.

სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების წარმატებით ათვისებისა და შესაბამისი კრედიტების მოპოვების შემდეგ, სტუდენტს ენიჭება სტატისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, რაც შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო პროგრამა;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სტატისტიკური პაკეტი SPSS ისწავლება მეორე სემესტრში. ჩვენი აზრით უმჯობესია აღნიშნული პაკეტის შესწავლა პირველ სემესტრში. ეს საშუალებას მისცემს ლექტორებს სხვადასხვა დარგის სტატისტიკური მეთოდების შესწავლისას პრაქტიკული ამოცანების გადაჭრა მოახდინონ არა Excel-ის, არამედ SPSS -ის გამოყენებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყველა სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს, გამონაკლისია ერთი სასწავლო კურსი, ,,ფინანსური მატემატიკა", სადაც 3 კრედიტის შესაბამის საათების რაოდენობაში ნაცვლად 75 საათისა მითითებულია 70 საათი.

სილაბუსების დიდ ნაწილში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს. თუმცა, მიზანშეწონილია მოხდეს ზოგიერთი სასწავლო ლიტერატურის განახლება, კერძოდ, სილაბუსების ლიტერატურის ნაწილში სასურველია ჩაემატოს:

- სასწავლო კურსში: ,,თამაშთა თეორია" - მ. ჯულაყიძის ,,თამაშთა თეორია ეკონომისტებისათის." (რიდერი) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა. თბ., 2018;
- სასწავლო კურსში ,,დემოგრაფიული სტატისტიკა" -ს.გელაშვილის ,,სტატისტიკური პროგნოზირება და ეკონომიკასა და ბიზნესში" თბ., 2017;

- სასწავლო კურსში ,,მონაცემთა ანალიზი SPSS-ის საშუალებით - ჩავა ფრანკფორტ ნაჩმიასისა და ანა ლეონ-გერეროს ,,სოციალური სტატისტიკა მრავალფეროვანი საზოგადოებისათვის.“თბ., 2012, სადაც ყოველი თავის შემდეგ არის სტატისტიკა SPSS -ის გამოყენებით;
- სასწავლო კურსში ,,ფისკალური და მონეტარული სტატისტიკა“ - მ.მუჩიაშვილის ფისკალური სტატისტიკა.თბ. 2018 (ელექტრონული ფორმატი);
  https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/fiskstat.pdf
- სასწავლო კურსში ,,ფინანსური მატემატიკა“ - პ. ბაბილუა, ბ. დოჭვირი, ჰ.მელაძე- ფინანსური მატემატიკის საწყისი, თბ.,2008 და ა. გაბელაიას ,,კორპორაციათა ფინანსები“ თბ.,2013;
- სასწავლო კურსში ,,სოციალური პროცესების სტატისტიკური კვლევის მეთოდები“- ჩავა ფრანკფორტ ნაჩმიასისა და ანა ლეონ-გერეროს სოციალური სტატისტიკა მრავალფეროვანი საზოგადოებისათვის.თბ.,2012;

სასურველია, რომ კორექტირებულ იქნეს სასწავლო კურსის ,,ეკონომიკური სტატისტიკა“ თემატიკა. აქ წარმოდგენილი საკითხები ძირითადად სტატისტიკის თეორიას ეხება და მხოლოდ ერთი თემა მოიცავს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკას. ამიტომ, მიზანშეწონილია, სასწავლო კურსის ,,ბიზნესის სტატისტიკიდან“, (რომელიც წარმოადგენს 3 კრედიტიან კურსს) გადმოტანილ იქნას ,,ეკონომიკური სტატისტიკის“ სილაბუსში თუნდაც მაკროეკონომიკური სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა, ცხოვრების დონის სტატისტიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
- გასაუბრება წინა პროგრამის სტუდენტებთან, გამოყენებითი მათემატიკის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, ადმინისტრაციასთან.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია განახლდეს მითითებული სასწავლო კურსების სილაბუსები უახლესი ლიტერატურის საფუძველზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- «ფინანსური მათემატიკის“ კურსის სილაბუსში გასწორდეს საათების რაოდენობა
- სასურველია კორექტირებულ იქნეს სასწავლო კურსის ,,ეკონომიკური სტატისტიკა“ სილაბუსი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) წინა აკრედიტაციის შემდეგ, აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინების შედეგად პროგრამამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩასმულ იქნა შემდეგი სასწავლი კურსები: 1. სოციალური პროცესების სტატისტიკური კვლევის მეთოდები; 2. მონაცემთა ანალიზი SPSS-ის საშუალებით 3. დროითი მწკრივების ანალიზი და პროგნოზირება (მანამდე არსებობდა შემდეგი სახელწოდებით: „დროითი მწკრივები და პროგნოზირება“) 4. ეკონომიკური სტატისტიკა 5. პროფესიული პრაქტიკა *(ძველ პროგრამაში არსებობდა* ,,მინი პროექტის“, მის ნაცვლად ნაცვლად პროგრამაში ჩაისვა ,,პროფესიული პრაქტიკა“) არჩევითი დისციპლინები: 1. ფისკალური და მონეტარული სტატისტიკა 2. დემოგრაფიული სტატისტიკა 3. ბიზნესის სტატისტიკა 4. გამოყენებითი ეკონომეტრიკა წინაპირობაში დაფიქსირდა ინგლისურის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და Zoom-ის ფორმატში აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადასტურდა, რომ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ინტერესების მიხედვით მონაწილეობა მიიღონ უსდ-ს მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო-კვლევით კონფერენციებში, საჯარო ლექციებში, სტუდენტთა დასაქმების მიზნით ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ასრულებენ სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც ორიენტირებულია სწავლების პერიოდში მიღებული ცოდნის გაღრმავებაზე, მის სისტემატიზაციაზე, ანალიზზე, თეორიული ხასიათის ნაშრომის შესრულებასა და პრეზენტაციის უნარის განვითარებაზე. სტუდენტები ირჩევენ საკვლევ თემას, ადგენენ სამუშაო გეგმას, ახორციელებენ ინფორმაციის მოძიებას და სათანადოდ დამუშავებას, დასკვნების ჩამოყალიბებას და საჯაროდ დაცვას. ნაშრომზე მუშაობა სტუდენტს უვითარებს დამოუკიდებელი საპროექტო/კვლევითი სამუშაოს წარმართვის უნარებს და ამზადებს წინაპირობებს, რათა სტუდენტმა უფრო მარტივად შეძლოს აკადემიური განათლების მე-3 საფეხურზე (დოქტორანტურა) სწავლა.

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პროფესიულ პრაქტიკას, რომელიც პროგრამის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს. გამოყენებითი სტატისტიკის პროგრამის სტუდენტებისათვის პრაქტიკის ობიექტად შერჩეულია სადაზღვევო კომპანია ,,ალდაგი.“ პრაქტიკის მიზანია მიღებული თეორიული ცოდნის ტრანსფერის საფუძველზე ხელი შეუწყოს სტუდენტებს განივითარონ აუცილებელი პრაქტიკული უნარები, რაც თავის მხრივ წარმატებული პროფესიული საქმიანობის წინაპირობაა. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სადაზღვევო კომპანიის გარდა, კარგი იქნება, თუ პროგრამის სტუდენტებს სხვა მაპროფილებელ ობიექტებშიც ექნებათ პრაქტიკის გავლის არჩევის საშუალება, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია პრაქტიკის ობიექტების არეალის გაფართოება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაფასებლად წარმოდგენილი პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების გამომუშავებასა და განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- მემორანდუმები/ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან/დამსაქმებლებთან;
- ინტერვიუ წინა პროგრამის სტუდენტებთან;
- გამოყენებითი მათემატიკის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სტუდენტებისთვის პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების გამომუშავებისა და განვითარებისათვის მიზანშეწონილია გაფორმდეს ახალი მემორანდუმები პროფილურ ორგანიზაციებთან და კომპანიებთან.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით გამოყენებითი სტატისტიკის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს (მოქნილი გრაფიკი, დამატებითი საკონსულტაციო საათები და ა. შ.). სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: დისკუსია-დებატები, შემთხვევის ანალიზი, ევრისტიკული მეთოდი, გონებრივი იერიშის, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, ანალიზის და სინთეზის

მეთოდები,პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), შემთხვევის ანალიზი (Case study), წერითი მუშაობის მეთოდები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ პროგრამის წინა პროგრამის სტუდენტებთან და გამოყენებითი მათემატიკის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულებთან; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში შეფასების სისტემა ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად და კანონმდებლობასთან შესაბამისია. გამოყენებითი სტატისტიკის პროგრამის სტუდენტებმა ინტერვიუს მსვლელობისას აღნიშნეს, რომ მათთვის შეფასების კრიტერიუმები სამართლიანი და გამჭვირვალეა. ამასთან, თითოეულ სილაბუსში დეტალურადაა ჩაშლილი სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები. ლექტორები პირველივე ლექციაზე აცნობენ მათ შეფასების სისტემას. ამასთან, ისინი ლექტორებისაგან იღებენ უკუკავშირს საკუთარ შეფასებებთან დაკავშირებით. ლექტორები უზრუნველყოფენ, რომ მოახდინონ სტუდენტების ინფორმირება გამოცდებში დაშვებულ შეცდომებთან დაკავშირებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; ○ ინტერვიუ.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უმაღლესი სასწავლო დაწესებულების პერსონალი და პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე საკონსულტაციო მომსახურებას. სტუდენტებს მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე კონსულტაციის მიღება შეუძლიათ, როგორც შესაბამის პირთან პირადად გასაუბრების საშუალებით, აგრეთვე სატელეფონო კომუნიკაციისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. უსდ-ის მაგისტრატურის სტუდენტებისათვის შესაძლებელია, მათთან შეთანხმებით, სასწავლო გრაფიკის შედგენა. სტანდარტულად დადგენილი საკონსულტაციო საათების გარდა სტუდენტებს შეუძლიათ ლექტორებს მიმართონ სასწავლო პროცესთან დაკავშირებით გრაფიკით გაუთვალისწინებელ საათებშიც. უმაღლესი სასწავლო დაწესებულება უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისათვის ადგილობრივ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ ფაკულტეტის დებულება ○ თვითშეფასების ანგარიში ○ გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან ○ გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ○ გასაუბრება პროგრამის მიმდინარე და კურსდამთავრებულ სტუდენტებთან (წინა პროგრამის)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გამოყენებითი სტატისტიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, სამაგისტრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა, ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცედურა, ხორციელდება მაგისტრანტის მიერ სწავლების მეოთხე სემესტრიდან.

სამაგისტრო პროგრამას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს სსუ-ს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. სამაგისტრო პროგრამას შეიძლება უხელმძღვანელოს შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის მქონე მოწვეულმა პირმა. ასეთ შემთხვევაში, მოწვეული პირის გარდა, პროგრამას ასევე უნდა უხელმძღვანელოს სსუ-ს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესორმა ან ასოცირებულმაპროფესორმა. გადაწყვეტილება პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის შესახებ უნდა მიიღოს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია ○ გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გამოყენებითი სტატისტიკა საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და უმაღლეს საგანგამანათლებლო დაწესებულების პერსონალთან Zoom-ის პლატფორმით შეხვედრის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პროგრამა მეოთხე სტანდარტის ქვესტანდარტის 4.1. ,,ადამიანური რესურსი“ მიხედვით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 6 აფილირებული აკადემიური და 2 მოწვეული პერსონალი. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ

საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით. (ინფორმაციის ნაწილი დაზუსტდა პერსონალთან გასაუბრების შედეგად). მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდიებისა და კომპეტენციის ქონით; ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემით (სემესტრების მიხედვით), რომელიც მოიცავს სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე. მასში ასახულია სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევით და/ან სხვა დატვირთვა (სალექციო კურსები, სემინარები, და ა.შ. სილაბუსებში მითითებულია კონსულტაციები) აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში; აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი (6 აკადემიური/2 მოწვეული) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე მეტწილად მონაწილეობს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში (კონფერენცია, სემინარი, ვორქშოპი, გაცვლითი პროგრამები, ტრენინგი და ა.შ.) პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მათი კვალიფიკაცია დასტურდება მიმართულების/დარგის შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ნაშრომებით გამოყენებითი სტატისტიკის მიმართულებით; პროგრამის ხელმძღვანელები მონაწილეობენ პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართული არიან პროგრამის განხორციელებაში. პროგრამის სტუდენტები უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პერსონალის პირადი საქმეები; ○ აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა ○ აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით; ○ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით; ○ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა; ○ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის თვითშეფასების დოკუმენტში გაპარულია გარკვეული უზუსტობები, რომლებიც უნდა გასწორდეს. კრძოდ: • პუნქტში „აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით“ ნაცვლად 6/2-სა წერია 7/4 • პუნქტში „-აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით“ ნაცვლად 2/2-სა წერია 2/4
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გამოყენებითი სტატისტიკის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა, მე-4 სტანდარტის ქვესტანდარტი 4.2. „აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება“-ს მიხედვით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშით, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და Zoom-ის პლატფორმით აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციით.

აღსანიშნავია, რომ უსდ-ში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები;

უსდ რეგულარულად აწარმოებს და აქტიურად იყენებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა (სასწავლო/კვლევითი საქმიანობა) და კმაყოფილების კვლევის შედეგებს და აანალიზებს ამ შედეგებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს როგორც მათი სასწავლო, ასევე კველვითი საქმიანობის შეფასებას;

უსდ-ში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად შექმნილია აუცილებელი პირობები (მატერიალური, ფინანსური რესურსები, და სხვა). თანდართული დოკუმენტაციის გაცნობითა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილი მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებში, კვლევებსა და კონფერენციებში.

დაწესებულების წარმომადგენლების მიერ გაზიარებული ბიუჯეტის დოკუმენტებიდან იკვეთებოდა, რომ პერსონალის განვითარებაზე (კონფერენციები/მივლინებები და ა.შ), ძალზედ ცოტა იყო გამოყოფილი ფაკულტეტის მხრიდან. მიზანშეწონილია უსდ-მ სისტემატურად იზრუნოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განვითარებაზე და მათი პროფესიული ზრდისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხი, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი და სხვა) შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში;
- უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, კონფერენციები, გაცვლითი, საერთაშორისო და/ან ადგილობრივი პროექტები, რომლებიც ემსახურება პროფესიულ და/ან სწავლების უნარის განვითარებას);
- პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

○ საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი;
რეკომენდაციები: უსდ-მ მუდმივად იზრუნოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და მათი პროფესიული ზრდისათვის. მეტი ყურადღება დაუთმოს პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი აქტივობების განხორციელებას. ეს ფაქტი უნდა აისახოს პროგრამის ბიუჯეტშიც.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამაში დაკავებული ზოგიერთი პროფესორის CV-ებში არ არის ასახული ბოლო წლებში განხორციელებული აქტივობები. აუცილებელია პერსონალის პერსონალური მონაცემების განახლება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გამოყენებითი სტატისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას გამოყენებითი სტატისტიკის მიმარულებით.

პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციითა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციით. კერძოდ, ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა, მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად; მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის; სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ და იყენებენ არსებულ რესურს საჭიროების მიხედვით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე გამოყენებითი სტატისტიკის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა, 4 სტანდარტის 4.3 ქვესტანდარტის ,,**მატერიალური რესურსი**" მიხედვით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- ტექნიკური აღჭურვილობის შეფარდება სტუდენტების რაოდენობასთან;
- ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა;
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველი იქნება, ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში არსებული ყველა ძირითადი ლიტარატურა, რაც სასწავლო კურსების სილაბუსშია მითითებული, ატვირთული იყოს უსდ-ის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება გამოყენებითი სტატისტიკის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის საჭიროებებს.

ინფორმაციის დასაზუსტებლად გამოთხოვილი ფაკულტეტის ბიუჯეტის, უსდ-ს წარმომადგენლებთან (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დაკულტეტის დეკანი და პროგრამის ხელმძრვანელები) გასაუბრების შემდეგ დადასტურდა, რომ გამოყენებითი სტატისტიკის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის/ფაკულტეტის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გაწერილია მუხლების მიხედვით და გათვალისწინებულია როგორც სასწავლო და ისე კვლევით კომპონენტისათვის, შესაბამისად დადასტურებულია პროგრამის ფინანსური მდგრადობა. თუმცა, ეს ფაქტი არასრულადაა ასახული წარმოდგენილ პროგრამის ბიუჯეტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ დაფინანსების წყაროები; ○ პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის განხორციელდეს გამოყენებითი სტატისტიკის პროგრამის ბიუჯეტის კორექტირება ფაკულტეტის ბიუჯეტის შესაბამისად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში შიდა ხარისხის შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, საგანგებოდ შემუშავებული ფორმებისა და კრიტერიუმების/ინდიკატორების მიხედვით. შიდა ხარისხის შეფასების ერთ-ერთი მთავარი ელემენტია უნივერსიტეტის მუშაობაში მონაწილე ყველა მხარის აზრისა და დამოკიდებულების კვლევა. სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით გამოკვლევები სისტემატიურად ტარდება სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და აკადემიურ პერსონალთან. გამოკითხვებიდან, შიდა ხარისხის შეფასებისათვის შესაძლებელია შემდეგი ინფორმაციის მიღება: აკადემიური პერსონალის გამოკითხვიდან: • თანმიმდევრულია თუ არა პროგრამის სტრუქტურა და ლოგიკურია თუ არა შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები; • რამდენად შეესაბამება ინფრაქსტრუქტურა, მატერიალური და ტექნიკური რესურსები პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო გარემოს; • რა უნდა გაკეთდეს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დასახვეწად და საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად; სტუდენტების გამოკითხვიდან: • რამდენად აკმაყოფილებთ პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაცია • იყენებენ თუ არა პროფესორ-მასწავლებლები სწავლების თანამედროვე მეთოდებს კურსდამთავრებულთა გამოკითხვიდან: • რამდენად პასუხობს უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები იმ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად

- რას მიიჩნევთ სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად ,,ზედმეტად" თქვენს განათლებაში.

გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნებისა და რეკომენდაციების, გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით განხორციელდა პროგრამის მოდიფიცირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის კონტროლის ჯგუფთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და პერსონალთან;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებები;
- კითხვარი აკადემიური პერსონალისთვის
- კითხვები კურსდამთავრებულებს;
- კითხვარი სტუდენტებისათვის.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის გარე ხარისხის შეფასებისათვის გამოყენებულია გარეშე, როგორც ქართველი ასევე უცხოელი ექსპერტების მოსაზრებები. ასევე, გამოიყენება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ექსპერტთა მოსაზრებები. პროგრამა არსებითად გაუმჯობესდა აკრედიტაციის ექსპერტთა რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შედეგად.

გარე ხარისხის შემოწმებისთვის, სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით გამოკვლევები სისტემატიურად ტარდება დამსაქმებლებთან. გამოკითხვებიდან, გარე ხარისხის შეფასებისათვის, შესაძლებელია შემდეგი ინფორმაციის მიღება:

- რამდენად პასუხობს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები იმ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია თქვენთან სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად;
- უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის განათლებაში რა სახის ცოდნის დეფიციტია სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად;
- რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გაიზარდოს შრომის ბაზარზე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობა.

გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნებისა და რეკომენდაციების, გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით განხორციელდა პროგრამის მოდიფიცირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის კონტროლის ჯგუფთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და პერსონალთან;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებები;
- კითხვები დამსაქმებლისათვის;
- ქართველი და უცხოელი ექსპერტების დასკვნები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, რომ პოტენციური დამსაქმებლების უფრო ფართო წრე იქნას მოცული გამოკითხვით. ეს ერთის მხრივ ხელს შეუწყობს პროგრამის გაუმჯობესებას, მეორეს მხრივ გაზრდის პროგრამის ცნობადობას პოტენციურ დამსაქმებლებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხორციელდება პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ქართველი და უცხოელი სპეციალისტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობით. პერიოდულად ხდება პროგრამის შედარება ევროპის და აშშ-ის წამყვანი უნივერსიტეტების ანალოგიურ კურიკულუმებთან თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. შეფასების შედეგების საფუძველზე ხდება პროგრამის გაუმჯობესება. განხორციელებული ცვლილებების შესახებ თვითშეფასების ანგარიში ეგზავნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის კონტროლის ჯგუფთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და პერსონალთან; ○ კურიკულუმის განვითარების კომისიის ოქმები; ○ სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები; ○ გამოყენებითი სტატისტიკის სამაგისტრო პროგრამა;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: გამოყენებითი სტატისტიკა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა მამუკა ნადარეიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო აბესაძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა ლაშა გიორგაძე